<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1 . „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ. 42) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. 44–ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სისტემა და საბიუჯეტო ურთიერთობები

1. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სისტემა და საბიუჯეტო ურთიერთობები განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით.

2. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია ფინანსური საქმისწარმოება (ბიუჯეტის პროექტის შედგენა, შესრულება, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება და სხვა) აწარმოოს ელექტრონული ფორმით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმისწარმოების ელექტრონული ფორმით განხორციელებისას შექმნილ დოკუმენტს გააჩნია იურიდიული ძალა მისი მატერიალური ფორმით ბეჭდვის, უფლებამოსილი პირის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე.“.

2. 47^5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ბიუჯეტის შესრულების შესახებ მერის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;“;

ბ) მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქალაქ თბილისის მერიის კომპეტენციას საბიუჯეტო სფეროში განეკუთვნება:

ა) საბიუჯეტო სფეროს მართვაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრა;

ბ) ქ. თბილისის მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების/საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფინანსური საქმისწარმოების ინსტრუქციის განსაზღვრა;

გ) ბიუჯეტის პროექტის შედგენა და საკრებულოსათვის წარდგენა;

დ) ბიუჯეტის შესრულება და საკრებულოსათვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი